



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

### ო კ მ ი N3

ქალაქი ბათუმი

2023 წლის 30 მარტი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

#### ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- |                   |   |
|-------------------|---|
| ირაკლი თავდგირიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;   |
| ნატალია ზოიძე     | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| ზურაბ ნაკაიძე     | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| მინდია გოგუაძე    | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                           |
| დავით მახარაძე    | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო<br>- საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                    |
| ლევან ცხოიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა<br>და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე      | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური<br>განვითარების კომისიის თავმჯდომარე;               |
| ნერიმან ცინცაძე   | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ<br>საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                  |
| თენგიზ აფხაზავა   | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული<br>საქართველო“ თავმჯდომარე;                     |
| ასლან ბალაძე      | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული<br>საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;           |
| ლევან ბერიძე      | - ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული<br>საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;           |

როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან დოლიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტყარაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ნინო ცხვარაძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია შიშიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	- საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

ნოდარ დუმბაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
---------------	--

ნატო ნაცარაშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა კილაბერია	- საკრებულოს წევრი.
ირაკლი ზოიძე	- საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით);
კახაბერ ქაშიბაძე	- საკრებულოს წევრი.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;
- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**
  - საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
  - საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
  - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
  - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
  - საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
  - საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;
  - პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ და განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე

მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვლისწინებული 13 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე, რაზედაც საკრებულოს წევრებს სიტყვა არ გამოუთქვამთ.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დღის წესრიგი :**

**საკითხი 1.** „ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ანგისის დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩაზე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსების თაობაზე შპს „თაუერ ჯგუფი“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქ.ბათუმის №1 პოლიკლინიკისათვის“ უზუფრუქტის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე N8 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქ.№94-96-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 8.** „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 9.** „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.03.101; N05.32.16.239; N05.32.03.215; N05.32.16.242 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N25–ში მდებარე შენობის ფასადზე გიორგი (გოგი) ქათამიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

**საკითხი 12.** „ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მოპირდაპირედ, მზის საათის სკვერში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

**საკითხი 13.** „ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქ. N74–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ცირა აბზიანიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 29

კენჭისყრის შედეგები: მომხრე –21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 8 (ნ. ფუტკარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ა. ვარშალომიძე, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, რ. ხარაზი)

საკრებულოს წევრმა რეზო ხარაზმა აღნიშნა, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში მოხვედრა უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით ჩვენი ქალაქისთვის, რომელიც გამოირჩევა თავისი ევროპულობით. დღის წესრიგში დგას ევროპის 12 პუნქტის შესრულება. შეამჩნევდით ახალ ავტობუსებს, რომელიც ევროპის დამსახურებით დადის ქუჩებში. წყლისა და კანალიზაციის სისტემაზე საუბარი ევროპის დამსახურებაა, რომლის დროშაც ქართული ოცნების ხელისუფლებამ ჩამოხია რუსთაველზე. სკოლები, გზები და ყველა ის პროექტი რომელიც 2004 წლის შემდეგ არ მოგწონთ ევროპის დამსახურებაა. დღეს მთავარი გამოწვევაა პოლიტიკური პატიმრები საქართველოში. 12 ქვეყნის ლიდერი პირდაპირ ამბობს, რომ არ შეიძლება ქვეყნის მესამე პრეზიდენტის ციხეში მოკვლა. ქვეყანაში დამოუკიდებელი ანტი-კორიფციული სამსახურია საჭირო. ბათუმი არის ევროპელების დახმარებით აშენებული რისთვისაც მოუწოდა დამოუკიდებლობისაკენ.

სხდომის თავჯდომარემ კოლეგებს მოუწოდა კორექტურობისაკენ.

საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია გამოეხმაურა და აღნიშნა რომ, 7-9 მარტის თვის აქციებმა აჩვენა, რომ ამ ქვეყანაში ის თაობა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში გაიზარდა ასეთი მოქმედებები აკავშირებს ქვეყნის რუსეთიზაცი-ასთან და ახლა არ იღავეებს იმაზე თუ რამდენად იყო რუსული კანონი, რომელიც გაიწვიეს. იგი მზადაა აღნიშნულ საკითხზე ნებისმიერ ეთერში იმსჯელოს და დაამტკიცოს რომ ეს ნამდვილად იყო რუსული კანონი. რაც შეეხება მიმდინარე პროცესებს პარტია ქართულმა ოცნებამ აირჩია სახალხო დამცველი კითხვის ნიშნით და ეგრევე მიაყოლეს რუსული კანონის განხილვა. ამას მოჰყვა ტყვიები, აქციები, რისთვისაც ცხოვრებაში ყველაზე მძიმე 3 წუთი გაიარა, რომ არა მისი მეგობრები, ვერ გადარჩებოდა, რომელიც იყო ძალადობა.

საკრებულოს წევრმა ალექსანდრე ვარშალომიძემ აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია ასეთი ძალადობა, პოლიციელების საქციელი სამარცხვინო იყო, იმიტომ რომ ახალგაზრდებს ესროდნენ ტყვიებს და ცრემლსადენ გაზს. თვითონაც იქ იყო მათ გვერდით. ასევე ქალაქში დაგროვდა პრობლემები ძლიერი ქარის გამო სამშენებლო მასალები ჰაერში დაფრინავდნენ, რისთვისაც უსაფრთოების ზომები გასაკონტროლებელია.

საკრებულოს წევრმა ნაზი ფუტკარაძემ განაცხადა, რომ მისი გამოსვლის პირველი მოთხოვნაა ნუგზარ ფუტკარაძის მანდატის წართმევაში მკვლელის სისტემის წარმომადგენლების დასჯა. დღემდე არა თუ დასჯილია შეკითხვებზე პასუხის გაცემასაც ერიდებიან. ასევე საკრებულოსთან არსებულ გენდერულ საბჭოს დაუსვა კითხვა: გენდერული საბჭო არის ინსტიციური მექანიზმი, რომელიც მიმართულია იმ გენდერული პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც გავლენას ახდენს მოქალაქეებზე, ოჯახზე და საზოგადოებაზე. დღეს 21-ე საუკუნეში სამწუხარო რეალობის წინაშე დგანან, არიან მამაკაცები, რომელთაც ქალებში მსხვერპლის დანახვა შეუძლიათ. დასვა კითხვა, რომ მოძალადე ჟურნალისტის შალვა რამიშვილის ქმედება არ მიგაჩნიათ სამარცხვინოდ, რათა არ გამოხატავთ იმ გოგონებზე სოლიდარობას. ჰყავთ განათლებული ახალგაზრდები, რომელთა მიზანია ევროპული მომავალი და აუცილებლად დადგება დრო ეს ახალგაზრდები პასუხს მოგთხოვენ.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ განაცხადა, პოლიციელების ლანძღვის და გინების თაობაზე, რომ არ უყურებთ სხვადასხვა ტელევიზიებს, სადაც ჩანს, რომ 2 მილიონზე მეტი აპროტესტებდა საპენსიო კანონს. როდესაც საზოგადოებრივი პროტესტი ცდება ფარგლებს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიის ამინდს ქმნიან, პოლიცია ყოველთვის იყენებს ადეკვატურ ძალას. ზუსტად იგივე მოხდა თბილისში, პოლიციამ ათი ათასჯერ გამოაცხადა თხოვნა აქციის შეწყვეტის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ განაცხადა გაჟღერებული ფრაზის „ჩინური ხაბეიშვილის“ თაობაზე, თუმცა ხაბეიშვილს საქართველოსთვის და ქართველი ერისთვის მავნებლობა არ გაუკეთებია, განსხვავებით „თითიყუმ მრუსველისგან“.

საკრებულოს წევრმა ქეთევან ლასტაკანიძემ განაცხადა, რომ ბათუმის სიყვარულში არაა საჭირო შეჯიბრება, მოუწოდა თითოეულს ბათუმისთვის სასარგებლო საქმეების კეთება. ასევე ისაუბრა ძველ ბათუმში მაზნიაშვილის ქ. 37-ში დაუსრულებელი სახლის თაობაზე, სადაც სავალალო მდგომარეობა-ანტისანიტარია, ქვეწარმავლების და ინფექციის წყარო. წლების განმავლობაში დგას ეს პრობლემა, რომელსაც მოყვება ეზო, ბარაკული ტიპის სახლი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნას ჯგუფი, რომელიც მოქალაქეების მდგომარეობას შეისწავლის, საერთო საქმისთვის კარგი იქნება დისკუსიები ქალაქისთვის სასიკეთო საქმეების გასაკეთებლად.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ განმარტა, რომ ინვესტორს ჰქონდა დავა სასამართლოში, რომელიც კანონის შესაბამისად გადაწყდება.

საკრებულოს წევრმა ლევან დოლიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი ძალისხმევით მოწესრიგდა სავალი ნაწილი, ხოლო ეზოს მოწესრიგება სანდასუფთავებას დაევალა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იმ კვირაში შეხვდნენ მოსახლეობას მდგომარეობის შესწავლის გამო. კარგია საქმის კონსტრუქციულად გადაწყვეტა.

საკრებულოს წევრმა ნერიმან ცინცაძემ მხარი დაუჭირა ქეთევან ლასტაკანიძეს და აღნიშნა, რომ ბათუმი უყვართ და უნდა იზრუნონ საერთო კარგი საქმეების გასაკეთებლად.

საკრებულოს წევრმა თეონა ბერიძემ მადლობა გადაუხადა მერიას, მერიის სამსახურებს, სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს, რომელიც არა მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების გამო, არამედ ადამიანური თანადგომისა და გულისხმიერების გამო იმ სტიქიის შემდეგ მთელი ღამე დადიოდა ქალაქის ქუჩებში და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა იმ ადამიანებს, კონკრეტულ ოჯახებს, რომლებსაც ძალიან დიდი ზარალი მიადგა სტიქიის უბედურების შედეგად. ასევე რწმუნება გამოთქვა იმისა, რომ ზარალის შემდგომი ნაბიჯები არის გადასალახავი, მერია დახმარების ხელს გაუწვდის, შემდგომი ნაბიჯები, რომელსაც მერია გადადგამს სტრუქტურული სამსახურების მიერ და რომელიც იქნება მიმართული სტიქიით დაზარალებულ ადამიანთა დახმარებისაკენ.

საკრებულოს წევრმა ნინო ცხვარაძემ განაცხადა, რომ სამწუხაროა ერთმანეთის მიმართ მსგავსი შეურაცხმყოფელი განცხადებების კეთება. ასევე მას უკმაყოფილობით მიმართა 25-ე და მე-5 საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლებმა ფსიქოლოგიისა და სპეც. მასწავლებლების ნახევარ განაკვეთზე მუშაობის თაობაზე, რისთვისაც ითხოვენ მასწავლებლების სრულყოფილად მომსახურებას. მოკვლევის მიხედვით საბავშვო ბაღებში 286 შშმ პირია.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა განაცხადა, რომ პოლარიზაცია უნდა დასრულდეს, რადგან დაიღალა საზოგადოება.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ დღეს დიდი დრო დაეთმო 7-9 მარტის მოვლენებს და ნათქვამია რომ ძალის გამოყენება იყო არაპროპორციული და არალეგიტიმური, მათ შორის ეს შეფასება დადო პარტია ქართული ოცნების მიერ



არჩეულმა სახალხო დამცველმა, რომელსაც ნდობას უცხადებს უმრავლესობა. რაც შეეხება ყველაზე მთავარ საკითხს უნდა იზრუნონ მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, ბათუმის იმიჯზე, როგორც ტურისტულ ქალაქზე, ხელი უნდა შეუწყონ ქალაქის პოპულარიზაციას. მან წინა სხდომაზეც დააყენა საკითხი დროებითი ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებდა რისკებს. ბოლო პერიოდში ნახეს, რომ საფეხბურთო მატჩის პარალელურად ამოვარდნილი ქარის მიერ დაზიანება მიიღო ქალაქმა. ამიტომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა აიღოს პასუხისმგებლობა და დაიწყონ დროებითი სამუშაო ჯგუფის ფორმატში მუშაობა. შემოწმებული იქნას ყველა სახურავი, რომელიც საფრთხეს შეიცავს ქალაქისთვის. ის მზადაა აიღოს პასუხისმგებლობა და იმუშაოს პრობლემების მოგვარებაში, ერთად დაიწყონ მუშაობა და შეწყვიტონ ის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც რამდენიმე წელია საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ოპოზიციური პარტიის დეპუტატის მიერ ინიცირებული საკითხი არ მოხვედრილა.

საკრებულოს წევრმა ლევან ცხიძემ ბათუმობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბათუმობის დღესასწაულზე მოწვეული ადამიანების ჰონორარებზეა საუბარი, არჩილ სოლოღანიშვილი არის სცენარის ავტორი, რეჟისორი, შემსრულებელი, მსახიობი რომელზედაც წერია 18 500 ლარი, თიკა ფაცაცია არის ღონისძიების წამყვანი და შემსრულებელი, სოფო გელოვანი და.ა.შ. მან დეტალურად ისაუბრა ღონისძიების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა თეონა ბერიძემ გააკეთა რეკლიკა, რომ შემოქმედებითი ინდუსტრიები არის ქალაქის ეკონომიკური ზრდა, რაც ხშირად არის ყურს მიღმა დატოვებული ჩვენდა სამწუხაროდ. ქალაქის კეთილდღეობისთვის გამოყენებული იქნას ის სარგებელი და პოტენციალი, ბოლომდე რაც შეიძლება კრეატიული ინდუსტრიების განვითარებით და ხელშეწყობით ჰქონდეს ამ ქალაქს. არის უამრავი მაგალითი ევროპული ქალაქებისა, რომელთა ეკონომიკა მთლიანად დგას კრეატიულ ინდუსტრიებზე. მაგალითად, ედინბერგი ცხოვრობს ფესტივალებით, 365 დღიდან 260 დღე აქვს საფესტივალო, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მასპინძლობს ფესტივალის მონაწილეებს და ის თანხა, რომელიც თითქოსდა დიდი ჩანს კონკრეტული ღონისძიების გასაკეთებლად, საერთო ჯამში არაპირდაპირი ეკონომიკური მოგების სახით 10-20-ჯერ უფრო მეტი შემოსავლის შემომტანია ქალაქისთვის.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ ლევან ცხიძემ დეტალურად გააშუქა ბათუმობის დღესასწაულის ჩატარების გეგმა, რადგან არ გაჩნდეს კითხვის ნიშნები. მან უპასუხა დეპუტატების მიერ დასმულ საკითხებს და აღნიშნა, რომ დღეს გაიჟღერა ფრაზა: „უმრავლესობაში თქვენ ხართ“... თუმცა ეს არასწორი ფრაზაა, რადგან პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება. უმცირესობამ ტყუილებით მოახერხა აქციებზე ახალგაზრდების გამოყვანა და სამწუხაროდ ნამდვილად იყო ის ფაქტი, რომ პროვოკაცია მზადდებოდა. რაც შეეხება გენდერულ თანასწორობის საბჭოს, ამ თემაზე აპირებდა საუბარს. კოლეგების მიმართ აქვს თხოვნა, რომ საკმაოდ ჭარბად არიან წარმოდგენილი საბჭოში 33 წევრია, რომელთა უმრავლესობა არ ღებულობს მონაწილეობას. საბჭოს მიზანია საჭირობოროტო საკითხებზე მსჯელობა საღი აზრის გადასაწყვეტად. წევრობა არის ნებაყოფლობითი და თუ არ გინდათ მუშაობა, წერილობით დაადასტურეთ საბჭოდან გასვლის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნა და განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი1.,,ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარმოადგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილებაში ტერმინები „დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის“ შეიცვალოს ტერმინებით „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის“ და საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 22.12.2022წ. სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020771; დოკუმენტის ნომერი 2484-Xრს-Xმპ) კანონის 136-ე მუხლს დაემატა მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, განისაზღვრა მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. ამასთან, ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალიათ 2023 წლის 1 აპრილიდან დადგინდეს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი).

პროექტის მიხედვით განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ (შემდგომში – მუნიციპალური ინსპექცია) 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების (შემდგომში მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილება) შესრულების კონტროლის განხორციელების პროცედურული საკითხები, რომელთა მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეჩერებული

მშენებლობების კონტროლის პროცესის გაუმჯობესება და კონტროლის მექანიზმების გამკაცრება, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული შეჩერებული მშენებლობების გაგრძელების ფაქტები.

პროექტის მიხედვით მუნიციპალური ინსპექცია ვალდებულია 2023 წლის 1 აპრილიდან მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. შემოწმება, თავის მხრივ გულისხმობს მუნიციპალურ ინსპექციაში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას. შემოწმების პროცესში კი აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი.

ამასთან, პროექტის მიხედვით, თუ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობას აქვს ადგილი, მუნიციპალური ინსპექცია იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (დადგენილებას) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც არ ათავისუფლებს მუნიციპალურ ინსპექციას ვალდებულებისაგან თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს შეჩერების შესახებ დადგენილების შესრულება. აღნიშნული პერიოდული შემოწმება გრძელდება შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული სამართალდარღვევის აღმოფხვრამდე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, მუნიციპალური ინსპექცია გამოსცემს დადგენილებას „მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ინსპექციას აღარ აქვს ვალდებულება შეამოწმოს ხსენებული პერიოდულობით ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ობიექტზე კვლავ არ გაიცა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ დადგენილება.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა ბაჩი მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტში შესულია კანონი - უკანონო მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების გათავისუფლების თაობაზე, ასევე დასვა კითხვა უკანონო მშენებლობის რაოდენობის თაობაზე და რა ღონისძიებები გატარდა მათ მიმართ, როცა ბათუმში ათეულობით მშენებლობაა უკანონო, ეს აჩენს ეჭვს კორუფციისა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ უკანონო მშენებლობა დაახლოებით 500-მდეა. უკანონო მშენებლობა გულისხმობს, როგორც დარღვევით მიმდინარე მშენებლობას, ასევე უკანონოდ. სამშენებლო საქმიანობის კოდექსი და მოქმედი რეგლამენტი განსაზღვრავს მათი საქმიანობის წესს. თუ სახელმწიფო მიწაზე იქნება აშენებული, მაშინ დემონტაჟს ექვემდებარება, როგორც გოგოლის ქუჩაზე

აშენებული სახლის თაობაზე გამოტანილია როგორც შეჩერება, ასევე დემონტაჟი. სააღმსრულებლო საქმიანობის კანონი და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი ამბობს, რომ მიღებული დადგენილება უნდა აღსრულდეს აღსრულების ბიუროს მიერ. მუნიციპალური ინსპექციისა და აღსრულების ბიუროს მიერ გადაგზავნილია, რომ მშენებლობის შეუჩერებლობის გამო საგამოძიებო ორგანოში მიმდინარეობს ძიება.

საკრებულოს წევრმა ბაჩი მექვაბიშვილმა დასვა კითხვა, რომ დღეს მიღებული გადაწყვეტილების მოწესრიგების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ თუ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობას აქვს ადგილი, მუნიციპალური ინსპექცია იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი ცვლილების გათვალისწინებით, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26  
არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 7 (ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ანგისის დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 მარტის N1563/02 (N07-1423069776-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ განხილულ იქნა ნოდარი შუშანიძის ოჯახის (მაია ჩაჩუა - შუშანიძე-პ/N 61006020237, ოჯახის წევრი) სარგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, ხასან ჰელიმიძის ქ. N1<sup>ბ</sup> -ში (დასახლება ანგისა) მდებარე 2425 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 381 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს.კ. 05.32.01.483) ნაწილზე განთავსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი და გაცემული იქნა დადებითი რეკომენდაცია.

ზემოაღნიშნული კომისიის 2019 წლის 11 აპრილის N22 საოქმო გადაწყვეტილების და N15 რეკომენდაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების - ქალაქ ბათუმში, ხასან ჰელიმიძის ქ. N1<sup>ბ</sup> -ში მდებარე 2425 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 381 კვ.მ შენობა-ნაგებობების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღრიცხვასთან დაკავშირებით, რომლის უზრუნველსაყოფად სამინისტრომ მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაესვა საკითხი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წინაშე, ამ ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის 2023 წლის 13 თებერვლის N1/1-786 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 204 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (ს.კ. 05.32.13.507), რომელიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოეცეს ზემოხსენებული ქონება (ს.კ. 05.32.13.507) შემდგომი, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ნოდარი შუშანიძის ოჯახი, მაია ჩაჩუა-შუშანიძე, პ/N 61006020237, ოჯახის წევრი) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ე ვ ს:**

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ოჯახი ცხოვრობს, რომელიც არ არის დაკანონებული და შესაბამისად გადაეცემა მთავრობას საკუთრებაში, რათა შემდგომ მოხდეს აღნიშნულ ოჯახზე საკუთრების უფლების გაცემა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგული)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 7 (ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 3.** „ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩაზე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსების თაობაზე შპს „თაურ ჯგუფი“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (№10/1422357307-14, 23.12.2022წ; №142236431-14, 29.12.2022წ;) მომართა შპს „თაურ ჯგუფ“-მა რომლითაც განმარტავს, რომ ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა N1ა-ში არსებული 8526,00 კვ.მ (ს/კ 05.30.20.012) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ახორციელებს მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობას, კომპანიის კუთვნილი ობიექტის წინ მდებარეობს ავტომაგისტრალი, რომელზედაც ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობაა და აღნიშნული საკმაოდ შემაფერხებელი გარემოებაა ქვეითად მოსიარულეთა მიერ უსაფრთხოდ გადაადგილებისა და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლის თვალსაზრისით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მათ მიერ შემუშავებულ და განსახორციელებელ პროექტში გათვალისწინებული იქნა ევროსტანდარტების შესაბამისი ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მშენებლობა. გადასასვლელი ხიდის საწყისი წერტილი იქნება მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში (ს.კ. 05.30.20.012), ხოლო ხიდის საყრდენი კონსტრუქცია უნდა განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილებზე (ს.კ. 05.30.37.035 – 61,0 კვ.მ და ს.კ. 05.30.20.006 -5,0 კვ.მ). ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის, რათა ნებისმიერ პირს მათ

შორის ქალაქის სტუმრებს და ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლოთ გადასასვლელი ხიდით შეუფერხებლად და კომფორტულად სარგებლობა და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლა. კომპანია გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოებს დაასრულებს მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 6 (ექვსი) თვეში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოსახლეობისა და ტურისტების გადაადგილების უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, შპს „თაურ ჯგუფ“-ს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (ს.კ. 05.30.37.035 - 61 კვ.მ და ს.კ. 05.30.20.006 -5 კვ.მ) ნაწილებზე მოაწყოს ხიდის საყრდენები შემდეგი პირობებით: გადასასვლელი ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის; ხიდით შეუფერხებლად სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს. გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოებს განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით და დაასრულებს არაუგვიანეს მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 6 (ექვსი) თვეში.

#### **ა ზ რ ი**

#### **გ ა მ ო თ ქ ე ვ ს :**

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ქუჩა გახდება გადატვირთული სივრცე, სასტუმროს მშენებლობა არ არის დასრულების ფაზაში, რის გამოც უკეთესია ხიდის აშენება, რადგან განმუხტავს სიტუაციას და ფეხით მოსიარულეებისთვის პრაქტიკული იქნება, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირველად ხიდი კეთდება.

საკრებულოს წევრმა ნაზი ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტს მხარს უჭერს და მიესალმება, თუმცა წლების განმავლობაში ითხოვდა ოთხი მსხვერპლის გამო ბარცხანის ტერიტორიაზე საფერხმალო ხიდის მშენებლობას, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განიხილება რამდენიმე ლოკაცია ხიდის ასაშენებლად.

#### **სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ბ. მექვაბიშვილი)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკისათვის“ უზუფრუქტის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს შორის 2020 წლის 03 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით პოლიკლინიკას, სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, 1 წლის ვადით, სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №55-ში მდებარე 572.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული 426.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე არსებული 292.00 კვ.მ. ფართი (ს/კ №05.32.01.628 ) და ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №24-ში მდებარე 578.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობის 1 სართულზე არსებული 192.66 კვ.მ. ფართი (ს/კ № 05.36.24.309.01.500). მითითებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა ამოიწურა 2021 წლის 03 ნოემბერს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს მიერ სახელშეკრულებო ვადის გასვლის შემდგომ, 2022 წელს გადახდილი იქნა წლიური სარგებლობის საფასური 1000,0 (ერთი ათასი) ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 03 ნოემბერს წარმოდგენილია შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს №01-09/1588 (მერიაში რეგისტრაციის №10/1422311228-14, 07.11.2022წ) განცხადება, რომელითაც მოთხოვნილია ზემოთ აღნიშნული ფართების, 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს სამედიცინო მომსახურების გაგრძელების მიზნით შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს სიმბოლურ ფასად, 5 წლის ვადით, უზუფრუქტის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №55-ში მდებარე 572.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული 426.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე არსებული 292.00 კვ.მ. ფართი (ს/კ №05.32.01.628) და ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №24-ში მდებარე 578.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობის 1 სართულზე არსებული 192.66 კვ.მ. ფართი (ს/კ №05.36.24.309.01.500) და ორივე ობიექტისათვის სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 1000,0 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.



**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 7 (ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით

მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრის დროს გამოყენებული იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა №000959223, 10.02.2023 წ. დასკვნის შესაბამისად 05.21.21.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1790.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 3694676,0 ლარს. 1 კვმ მიწის საბაზრო ღირებულება 2064,06 ლარს, საიჯარო ქირა 5% - 103,20 ლარი; საბოლოოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია 1 კვ.მ მიწის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს არანაკლებ 5%-სა - 105,0 ლარით.

## აზრო

### გამოთქვეს:

საკრებულოს წევრი ბაჩი მექვაბიშვილი მიესალმება ამ საკითხს, რათა ანტისანიტარიათაა გადაქცეული, თუმცა აინტერესებს ასაშენებელი მშენებლობის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთზე განიკარგება ღია ტიპის საზოგადოებრივი საქმიანობა კვების ობიექტისთვის, რომელიც იქნება მსუბუქი კონსტრუქციის და ასევე დაავალდებულებენ მიმდინარე ტერიტორიის მოწესრიგებას თავისი ხარჯებით.

საკრებულოს წევრმა ნაზი ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მერიის შენობასთან შეკრებილია ხალხი მერთან შესახვედრად საბაგიროსთან ჯიხურების დემონტაჟის თაობაზე, რომელთანაც ვერ მოახერხეს შეხვედრა და საკითხის გადაწყვეტა.

### სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი – 0

არ მიიღო მონაწილეობა – 3 (ნ. ფუტკარაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე)

### დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

### მოისმინეს:

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე N8 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი შემდგომი განხილვის მიზნით ამოღებულ უნდა იქნას.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 7 (ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

**და ა დ გ ი ნ ე ს :** ამოღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 7. „ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქ.№94-96-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ავარიული პროგრამის ფარგლებში ავარიულ საცხოვრებელ სახლებში ბინათმესაკუთრეთა საცხოვრისის გაუმჯობესების მიზნით ახალი ბინებით ჩანაცვლება და ქირის საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ქეთევან ლასტაკანიძემ დასვა კითხვა რობაქიძის უნივერსიტეტთან ავტობუსის გაჩერებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ დასვა კითხვა მშენებლობის დაუსრულებლობის შემთხვევაში მისი ბედის თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავარიულ სახლებს ეხება და მაქსიმალურ კონტროლზე იქნება აყვანილი.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ გამოხატა ინიციატივა სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით შეკრება და დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 8.** „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებით დამტკიცდა „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვ-

რეგული სახლების ჩანაცვლების წესი“. აღნიშნული წესით ამოქმედდა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ავარიული და საცხოვრებლად უვარგისი შენობების სრულად ჩანაცვლება ახალი თანამედროვე სტანდარტების მქონე საცხოვრებელი სახლებით.

აღნიშნული წესით მოქმედების პერიოდში გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს დამატებითი პირობების განსაზღვრას და შესაბამისად მიზანშეწონილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული რედაქციით.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა გოჩა მგელაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობასთან წარმოიშვა პრობლემები, მერიამ დაუკვეთა ექსპერტიზას ქირასთან დაკავშირებით, რაც სამხარაულმა დადო მინიმუმიცაა და მაქსიმუმაც განსაზღვრული უბნების და ლოკაციების მიხედვით.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ განაცხადა თუ რა კრიტერიუმები განსაზღვრა სამხარაულმა, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოადგენს სიახლეს, ამიტომაც ყოველდღიურ რეჟიმში აქვთ მოსახლეობასთან მოლაპარაკების ნაწილში, სადაც რა პრობლემებია და რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, ამიტომ განიცადა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ განისაზღვრა დოკუმენტის წარმოშობას განსაკარგ ნაწილში.

საკრებულოს წევრმა ნაზი ფუტკარაძემ განაცხადა, რომ ქირის გაზრდა სამწუხაროდ არ გადაჭრის ოჯახების საკითხს, იმიტომ რომ ბაქრადის ქუჩაზე სახლის ნაწილი არის მდინარეზე გადმოსული, რისთვისაც ოჯახის მეპატრონეებმა მერიაში შემოიტანეს განცხადება ანაზღაურების თაობაზე, საიდანაც მიიღეს პასუხი, რომ თუ 5000 ლარს არ აიღებთ და შეთანხმებაზე არ წამოხვალთ ქირის თანხას ვერ აიღებთო, რის გამოც ჯებირის ჩამოსხმა გაჩერებულია, რაზედაც მომხსენებელმა განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნება შესწავლილი და პასუხგაცემული.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 15 წთ.  
სხდომა განახლდა 13.00 სთ.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 9. „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის 23-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავარიული შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი, საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა) ჩანაცვლების მიზნით, სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების სახით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების დეტალური გეგმის გარეშე შესაძლებელია განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა. ამავე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ მუხლის 23-ე პუნქტით გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ ღონისძიების შედეგად შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით უნდა დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებული უნდა იქნეს სოციალური მიზნით, მათ შორის, ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს „ბათმშენი“-მ (ს/ნ 445404517) წინადადებით, რომ სურვილი აქვს ქ. ბათუმში ჰ. აბაშიძის ქ. N81-ში მდებარე „ბარაკული ტიპის“ ავარიული (დადასტურებული შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ათვისება, ამავდროულად უმაღვე (ამ განკარგულებით გათვალისწინებულ პროექტზე ნებართვის აღებამდე) უზრუნველყოფს ამ სახლში მცხოვრებლების დაკმაყოფილებას (წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები), შესაბამისად ამ მიზნით ითხოვს შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებას სხვა ტერიტორიაზე - ქ. ბათუმში ნ.ფიროსმანის ქ. N15-ში

მდებარე კომპანიის საკუთრებაში არსებულ თავისუფალ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.24.08.107), სადაც არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება, შესაბამისად პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამოდენიმე მიზანი:

ა) მოხდება ქ. ბათუმში ჰ. აბაშიძის ქ N 81-ში მდებარე „ბარაკული ტიპის“ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ათვისება, და უმაღლვე ამ სახლში მცხოვრებლების დაკმაყოფილება, ისე რომ ავარიული სახლის ადგილას არ ხდება მშენებლობა და რაიმე სახის შეღავათის გავრცელება.

ბ) ქ. ბათუმში, ნ.ფიროსმანის ქ. N15-ში მდებარე კომპანიის საკუთრებაში არსებულ თავისუფალ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.24.08.107), სადაც არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება ხდება კოეფიციენტის გაზრდა 4,6-დან 12,0-მდე. აღნიშნულის სანაცვლოდ მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად უმაღლვე საკუთრებაში გადაეცემა ნ.ფიროსმანის ქ. N15-ში დაახლოებით 3 500 კვ.მდე საცხოვრებელი ბინები (საშუალო საბაზრო ღირებულებით 10 მილიონ ლარამდე).

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საკუთრებაში გადაცემული დაახლოებით 3 500 კვმ ბინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხდება ქალაქში არსებული სხვა ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (დაახლოებით 50 ოჯახიანი კორპუსის) ათვისება და ავარიული საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაძლებელი გასხვისდეს კონკრეტული საინვესტიციო წინადადებით ან დაპროექტდეს და აშენდეს საცხოვრებელი სახლი სხვა ავარიულ სახლის მცხოვრებლების დაკმაყოფილების მიზნით.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ყურადღებიანი თანამშრომლობისათვის. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის ყველაზე მტკივნეული პრობლემური საკითხის გადაჭრის რეალური გზა ბათუმში. მსგავსი საკითხების შემოტანის დროს ყოველთვის იქნება საკრებულოს მხარდაჭერა, იმიტომ რომ სამართლებრივად და ნორმის დაცვითაა შემოტანილი. ჩატარებულია მკაცრი ექსპერტიზა და ამ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზეა გაკეთებული შემდგომში დადგენილება, რომელსაც დღეს მიიღებენ. ეს არის რეალური გზა იმისათვის, რომ შემდგომში ავარიული სახლების პრობლემა გადაწყდეს.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქალაქ ბათუმის მერია მუშაობს უსახლკარო ოჯახების სიაზე, შესაბამისად სამომავლოდ დაითვლება რაოდენობა და წარმოდგენილი იქნება პროგრამა უსახკაროების თემაზე.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა უპირველესი პრიორიტეტია და მისასალმებელია, რომ ამ მხრივ

გაკეთდეს უფრო მეტი და სწრაფად მოხდეს ამ ადამიანების გადაყვანა ახალ საცხოვრებელ სახლებში. მან დასვა კითხვა: 3500 კვ.მ იმ ავარიულ სახლში მცხოვრები ადამიანების დაკმაყოფილებას არ ემსახურება და იმათ ცალკე აკმაყოფილებენ, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა თანხით იქნებიან დაკმაყოფილებული.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ იკითხა, რომ ფიროსმანის ქუჩაზე კოეფიციენტების ზრდა ხომ არ გამოიწვევს რაიმე დამატებით პრობლემას, რადგან ამ ეტაპისათვის ეს ადგილი ინტენსიურად განაშენებულია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონში პირდაპირ გაწერილია, რომ კოეფიციენტის ზრდა კარგია ჩანაცვლების კუთხით, თუმცა იქვე წერია, რომ თუ ეს არ გაუარესებს მესამე პირთა უფლებებს და სხვისი უფლებები არ შეიზღუდება. ამ შემთხვევაში შესწავლილია საკიტხი იმ კუთხით, რომ ტერიტორია არის მაღლივი და ირგვლივ განაშენიანება იდენტურია.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ სკვერი, საბავშვო ატრაქციონები, პარკირება იყოს გათვალისწინებული უპირობოდ და ასევე ქალაქს სჭირდება მაღალპროფესიონალიზმის მქონე არქიტექტორები.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ ლუკა ასათიანის სტიპენდია ერთ-ერთია ქალაქში სტუდენტების წახალისება დეფიციტურ სპეციალობებზე სწავლისას. დასვა კითხვა პარკირების ადგილების გამოყოფის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ 100 კვ.მ საცხოვრებელზე 1 პარკირებაა, ხოლო კომერციულზე 70 კვ.მ 1-ია, ამ შემთხვევაში 100 კვ.მ-ზე ერთი მანქანა უნდა იყოს გამოყოფილი.

საკრებულოს წევრმა ბაჩი მექვაბიშვილმა დასვა კითხვა ჰ. აბაშიძის ქუჩაზე მშენებლობის სართულიანობის შესახებ და ასევე მიესალმება პროექტს, თუმცა 40 სართულიან ჩაბეტონებულ ქალაქს არა, რისთვისაც აინტერესებს არქიტექტორების ხედვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ჰ. აბაშიძის ქუჩაზე შეღავათის დაწესებას არ ითხოვს კომპანია და არც ამ ეტაპისთვის შენობის აშენებას არ გეგმავს. რაც შეეხება მაღლივ შენობებს, ტერიტორია ისეთ ზონაშია და აქვს 4700 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში.



საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია 40 სართულზე აღფრთოვანებული არ არის, მაგრამ იქნება რაღაცნაირი მექანიზმი მოსაფიქრებელი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძველი შენობები შეუსაბამოდაა აშენებული. უახლოეს პერიოდში ჩამოდის გენგეგმის ჯგუფი და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრას გეგმავს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 27

არ ესწრებოდნენ: 2 ( რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 8 (ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.03.101; N05.32.16.239; N05.32.03.215; N05.32.16.242 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.32.03.215; N05.32.16.239; N05.32.03.101; N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.16.242 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, 05.32.03.215; N05.32.16.239; N05.32.03.101; N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.16.242 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, მოთხოვნილია დადგენილი კ2 მაჩვენებლის გადამეტება,

რაც წარმოადგენს სწორედ საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 19 (შემდგომ კოდექსი) 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი — გდგ, სახეზე გვაქვს დაგეგმვის საჭიროება. დაგეგმვის მიზნებია:

- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- ტერიტორიის განახლება და განვითარება;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ტერიტორიის ფუნქციურ მდგრად ერთეულად ჩამოყალიბება.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ პირველ რიგში ბოდიში მოუხადა საზოგადოებას, რაზედაც დღეს ვერ მოახერხა უმეტეს საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღება ოჯახის წევრის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მიესალმება ტერიტორიის განაშენიანებას და ყველა ინვესტორს, რომელიც განაშენიანების ინტენსივობის მქონე უბნებში ცდილობენ სიტუაციის დამძიმებას. რამდენიმე თვის წინ გაიხსნა ლუკა ასათიანის დიდი პორტრეტი და სწორედ პირველი ხმოსნების სულისკვეთებით უნდა იყვნენ გამსჭვალული. ბათუმი იყო თურქული ტიპის განაშენიანების ქალაქი და დაბრუნების შემდეგ ბევრი შენობის დანგრევა მოუწიათ, მათი დამსახურებაა, ბათუმს რომ აქვს ულამაზესი ქუჩები ურთიერთპერპენდიკული განლაგებით, რომელიც ნიავდება როგორც ზღვის, ასევე მთის ჰაერით. ეს იყო ევროპული ტიპის ქალაქი, ხოლო იმ უბნებზე, რომელზეც ახლა საუბარია, იქ ჯერ კიდევ არის სოფლის ტიპის გზები, მათ შორის მერიის მიერ დაგეგმილი ის რუკა, რომელიც ახლავს კვლევას, კონცეფციას. ექსპერტები საუბრობენ, რომ საჭიროა ქუჩების გაფართოება და რაც მნიშვნელოვანია ექსპერტის დაწერილი კონკრეტულ მშენებლობასთან მიმართებით. გენგეგმის ჯგუფის ჩამოსვლას და განხილვად დაელოდნენ, რადგან დარწმუნებულია ქუჩების მონახაზის შეცვლა. საბოლოოდ მიღებული იქნება თანამედროვე ევროპული ტიპის დასახლება.

მომხსენებლის განმარტებით ეს არის განაშენიანების კონცეფცია, კარგია თქვენი აზრის დაფიქსირება აღნიშნულთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ უპასუხა აკაკი გვიანიძეს, რომ იქნება ცენტრალური გზა, დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცემა.

საკრებულოს წევრები ნატალია ძიმიგური და ნერიმან ცინცაძე მიესალმება განაშენიანების გეგმას, აუცილებლად გასათვალისწინებელია საბავშვო ბაღის აშენება, გამწვანება, პარკების მოწესრიგება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 27

არ ესწრებოდნენ: 2 (რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 8 (ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 11. „ქალაქ ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N25–ში მდებარე შენობის ფასადზე გიორგი (გოგი) ქათამიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე გიორგი (გოგი) ქათამიძე დაიბადა ქ.ოზურგეთში. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფ. აჭარისწყლის სკოლაში, მოგვიანებით რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, შემდეგ აჭარის განათლების მინისტრის მოადგილედ, სადაც იმუშავა 27 წელი.

თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ხელმძღვანელობდა და აქტიურად მონაწილეობდა აჭარის განათლების სისტემის განვითარებისა და წინსვლის საქმეს, კურირებდა ახალი სკოლების მშენებლობასა და გახსნას აჭარის მაღალმთიანეთში.

გოგი ქათამიძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების საბჭოს შექმნასა და მუშაობაში.

მინიჭებული აქვს საქართველოსა და აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მიღებული აქვს მრავალი სიგელი და ჯილდო.

## **სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანძიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიჯური, ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

## **და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 12. „ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მოპირდაპირედ, მზის საათის სკვერში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების თა-ობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პრო-ექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დაბადების ადგილი: სოფელი გეგელიძეები, ქედის რაიონი. დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი 1950 წელს; მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები 1957 წელს.

1941-1948წწ. სოფელ ცხმორისის კლუბისა და ბიბლიოთეკის გამგე; 1948-1950წწ. მეთოდკაბინეტის დირექტორი; 1950-1952 წწ. აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი; 1957-1994წწ. საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის მდივანი; 1994-1995წწ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრემიერის კომიტეტის თავმჯდომარე; 1995-1999წწ. საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: ბლოკი "სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი", საარჩევნო ფორმა: პარტიული სიით. მისი პირველი ლექსი 1944 წელს, ხოლო პირველი პოეტური კრებული 1948 წელს გამოქვეყნდა;

დადგმულია მისი სამი პიესა: "ხიხანის ძახილი", "ვაზის ტირილი", "გადარჩენილი უკვდავება"; მრავალი წიგნის (50-მდე წიგნის), პოეტური კრებულების, პიესების, რომანების ავტორი; მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, უზბეკურ, აზერბაიჯანულ, გერმანულ, უნგრულ, ჩეხურ, პოლონურ, თურქულ ენებზე. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი ბათუმის ერთ-ერთ გამზირს მიეკუთვნა. პოეტის მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში გახსნილია მისი სახლ - მუზეუმი, ხოლო ბათუმის სახლზე, სადაც იგი ცხოვრობდა, გაკრულია მემორიალური დაფა. ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში ყოველწლიურად ტარდება დღესასწაული "ფრიდონობა", რომელიც შემდგომ პოეტის მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში გრძელდება.

## სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26

არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 13. „ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქ. N74–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ცირა აბზიანიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძისა და ნუცა ჩხეიძის პრემიების ლაურეატი ცირა აბზიანიძე 38 წელი ბათუმის თეატრის მსახიობი იყო. ამ ხნის განმავლობაში მას არაერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული: ნატალია (დარისპანის გასაჭირი); რიტა (განთიადი აქ წყნარია); სერაფიტა (აეტი) მედეა (თვალი პატიოსანი) მონა (უსახელო ვარსკვლავი) ანო (როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის) დოდო (მეფე ლირი თავშესაფარში) და სხვა. ცირა აბზიანიძეს მიღებული აქვს ჯილდოები; 1983 წელს მას საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება

მიენიჭა, 1974.1979.1983 წლებში მიიღო პრემიები ქალის როლის საუკეთესო შესრულებითვის. ბათუმის თეატრის მსახიობი ცირა აბზიანიძე 64 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა .საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძისა და ნუცა ჩხეიძის პრემიების ლაურეატი ცირა აბზიანიძე 38 წელი ბათუმის თეატრის მსახიობი იყო. ამ ხნის განმავლობაში მას არაერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული: ნატალია(დარისპანის გასაჭირი);რიტა(განთიადი აქ წყნარია);სერაფიტა(აეტი)მედეა(თვალი პატიოსანი)მონა(უსახელო ვარსკვლავი)ანო (როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის)დოდო (მეფე ლირი თავშესაფარში)და სხვა.

ცირა აბზიანიძეს მიღებული აქვს ჯილდოები; 1983 წელს მას საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, 1974.1979.1983 წლებში მიიღო პრემიები ქალის როლის საუკეთესო შესრულებითვის.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 26  
არ ესწრებოდნენ: 3 (ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ნ. ფუტკარაძე, ბ. მექვაბიშვილი, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ,რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი: მზევინარ წულუკიძე

